ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3631559

ნომერი: AR1548919

თარიღი : 13.10.2017

გაცემის თარიღი : 26.10.2017

გაცნობის თარიღი : 27.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარგიანი , N 2-4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მურმან ბებიაშვილი პ/ნ 18001015198
- ზესტაფონი დ. შორაპანი ფარნავაზ მეფის ქ. N 26

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 3 ივლისის №8023 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 13 ოქტომბერს AR1548919 განცხადებით მომართა მურმან ბებიაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 3 ივლისის №8023 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, ვინაიდან მოხდა მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების ცვლილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 1/14/2/22/6 (ფართობი 620 კვ.მ.) და N1/14/2/22/22 (ფართობი 662 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით 2007 წლის 3 ივლისს გაიცა №8023 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

სამსახურის2017 წლის 14 ივლისის №3399016 ბრძანებით, ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 3 ივლისის №8023 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.14.02.022.038, ფართობი 1278 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი : 882013546825, რეგისტრაციის თარიღი: 08.11.13 წ.). №8023 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ფიქსირდება შეზღუდვის ჩანაწერი: „ – შენობა–ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე განისაზღვროს 5 მეტრით.“ განმცხადებელი ითხოვს, აღნიშნული შეზღუდვის ამოღებას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან, რაც სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 3 ივლისის №8023 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ამოღებულ იქნეს ჩანაწერი: „– შენობის მაქსიმალური სართულიანობა განისაზღვროს 5 სართულით.“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 3 ივლისის №8023 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 14 ივლისის №3399016 ბრძანებასთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.